საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერქვანი

ერქვანი, 1. ერთ-ერთი უძველესი სახვნელი იარაღი; იყენებდნენ ანეულის გადასახნავად. შედგება მხრის, ხელნის, კბილას, ხმალასა და სახნისისაგან. გავრცელებული იყო უმთავრესად აღმ. საქართველოში. შემონახულია ქვემო ქართლში, ჯავახეთსა და მესხეთში; 2. თუშეთში, იმერეთში, გურიაში – გუთნის ხელნა-სახელური, რაზედაც ხვნის პროცესში გუთნისდედას ხელი ეკიდა და გუთანს მართავდა.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1927, ტ. 4; ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჯალაბაძე